ეროვნული
ბიბლიოთეკა

სასოფლო გაზეთი

გაზეთის ფასი:

გაგზავნით თფილისში	გაუგზავნელათ:
და გარეშე ადგილებში:	
ერთი წლისა — 4 მ.	— 3
ნახევარი წლისა—3 —	— 2 მ. —
სამი თვისა —1 მ.	— 1 მ. —

მეექვსე წელიწადი

გამოდის თვეში ორჯერ

ხელის მოწერა მიიღება: თფილისს «სასოფლო გაზეთის» რედაქციის ჯასტოროსში, გ. წერეთლის და ამბ. (დუბელირი სტამბაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლებში თფილისის გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ контору редакціи СЕЛЬСКОЙ ГАЗЕТЫ: при типографій Г Церетели и к°. (Дубелира).*

№ 3 ორშაბათი | VI | 30 თებერვალი, 1873 წ.

F 13116

განცხადება

«სასოფლო გაზეთის» გამოტემაზე

1873 წელს

მომავალს წელს «სასოფლო გაზეთი» გამოვა იმავე პროგრამით და რედაქცია ეცდება, წასულ წლებზე უკეთ აასრულოს თავის მოვალეობა.

ხელის მოწერა «სასოფლო გაზეთზე» შეიძლება:

ტფილისში «სასოფლო გაზეთის» რედაქციის კანტორაში გ. წერეთლის და კამპ. სტამბაში, ბებუთოვის სახლში ხანის ქუჩაზე.

ქუთაისში—გერასიმე კალანდარისშვილთან (სასულიერო სასწავლებელში) და ნ ნიკოლაძის სახლებში სილაზე.

ტფილისსა და ქუთაისს გარეშე მცხოვრებთა შემდეგი ადრესით შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ, въ контору редакціи «Сельской Газеты,» на Ханской улицѣ. д. Бебутова.*

ხელმოსაწერი ფასი:

ერთი წლისა თფილისში და აგრეთვე სხვა ადგილებში	— — — — — — — — — —	გაუგზავნელათ. 3 მან. — —
		გაგზავნით. 4 მან.
ნახევარის წლისა	— — — — — — — — — —	1 მ. 50 კ. 2 მ.

ხელის მომწერლებს უმორჩილესათ ესთხოვთ, თუ დაიბარებენ, გარკვეეთ შემოგვიგზავნონ თვისი სახელიგვარი და ადგილ-სამყოფი.

კ. ბარნოვის სახ. საქ. ხსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

შინაარსი:

ახალი ამბავი ანუ სიზმარი მდვდლისა.—მტანჯველს აუშკობესების შენა.— სამეურნეო ნაწილი:— ფუტკრების მოვლა ზამთარში.— სამეურნეო გამოცდილებანი:— ხეხილების ძალე გაშენება.— ხეების გამრავლება ნინეთურად.—ვარდის ძალე გაშენება. გაზეთის «დროებიდგან». გადმოღებული ამბები ნვენი ქვეყანისა: ქიზიყიდგან. ზუგდიდიდგან.—განცხადებანი.

ახალი ამბავი ანუ სიზმარი მდვდლისა.

ჩვენს სოფელში განაწესეს ერთი კურსოვენიკი მღვდელი, რომელსაც ეტყობა, რომ კარგი ნასწავლი არის, მაგრამ მისდა საუბედუროთ, ბლაღოჩინი კი გვერდზედ უყურებს, უნდა რომ როგორმე გააშავოს წინაშე მთავრობისა და ამისათვის ცდილობს მოახელოს რაშიმე და დაამონოს, რადგანაც თვით ეეღარა ფერში ეეღარ მოახელა, ამისათვის ყარაული დააყენა ეკლესის შორი ახლო, რომ კვირა უქმე დღეს ყური დაუგდოს, სწირავს თუ არა? მაგრამ წირვა ლოცვაც ძრიელ ეხალისება და უყვარს და თავის დღეში არ მოაცდენს, არა თუ კვირა უქმე დღეს, არამედ სადაც დღეშიაც ხშირათ სწირამს ხოლმე. ერთს ზაფხულის დილით, კვირა დღეს, ეგონებ ტაბელის დღეც იყო, გავიგონე ზარის ხმა, ცისკრის ლოცვისა, ავდექ და წავედი მოსასმენათ, მაგრამ მღვდელი კარზედ დამხვდა. ეკითხე: მა-

მამო! ჯერ ლოცვა არ დაგიწყიათ თუ გამოიყვანეთ? ჯერ ცოტას ხანს პასუხი არ მომცა და მერე მითხრა: ჯერ არ დამიწყია და როგორღაც სუსტათა ვარ და არ ვიცი შევიძლებ თუ არა. მე მოვახსენე: მამაო, თუ არ შეგიძლიანთ, თავი დაანებეთ, მაგითი რა იქნება? ამ თქმაზედ შევატყვე რომ ტყუოდა. არ იყო სუსტათ და მიზეზი სხვა რამე იყო, ამ საუბრის დროს კარგათ გათენდა და ბლოღინის კაცსაც თვალი მოვკარით, რომ შორი ახლო გვზვერავდა. მღვდელს ეკკლესიის კარი არ გაუღია და წამოვედით შინ ლაპარაკით სხვა და სხვა საგანზედ და შემდგომ მცირეს დროებით განვშორდით ერთმანეთსა. მოვიდა წირვის დრო და კიდენ გავიგონე ზარის ხმა და წავედი ეკკლესიაში და კიდენ კარში დამხვდა მღვდელი და დავიწყეთ ლაპარაკი, რადგანაც ეტყობოდა, შეუძლოთ არ იყო და სხვა მიზეზი ჰქონდა წირვის მოცდენისა, ამისთვის მოვინდომე შეტყობა და უთხარი: მამაო! თუ არა სწირავთ, შინ წავიდეთ, სადილათ ჩემთან ბრძანდებოდეთ, ჯერ ძრიელ დაყოყმანდა და მერე მითხრა: ჯერ სადილის დრო არ არისო და თვის დროზედ გიახლებით, ეტყობოდა, რომ თავიდგან უნდოდა ჩემი აცილება, მაგრამ მაინც და მაინც თავი არ დავანებე, ეკკლესიის კარი სრულებით არ გაუღია და მეორეთაც დარეკა, გავატარეთ ლაპარაკში დროება მოვიდა სადილის დროცა და წავედით ჩვენსა, დავსხედით სადილზედ; ორიოდე სტაქნები რომ გადავკარით, ამ ჩემმა ნათლიმამა მღვდელმა (შვილი ჩემი მონათლული ჰყავს) ლაპარაკი მოუმატა და ცოტა შუბლი გაიხსნა და მითხრა: ნათლია ჩემო! არ გებრალები, რომ ბლოღინი დამაბეზღებს დღევანდელ დღეს არა სწირაო და არ ვიცი რა პასუხი მივსცე. მე მოვახსენე: მამაო და ნათლულის მამავ! ავათმყოფობა შეიტანე მიზეზათ, მან მიპასუხა: ბლოღინის კაცმა ცისკრის დროსაც და წირვის დროსაც დამინახა ეკკლესიის კარზედ და მეტყვიან, თუ ავათ იყავი უნდა დაწოლილიყავო და გამამტყუნებენ და სიცრუვე, არა თუ მღვდლისათვის, გლეხიკაცისაც არ ვარგა, და მთავრობას ვერ მოვატყუებ, რაც გახდება გახდება, ისევ სწორეთ მოვახსენებ და რასაც მიზამენ თავიანთ ნება იყოს, თანაც ღიმილი მოზდის. ვკითხე: აბა, ჯერ მითხარი და თუ მე მომეწონება, კარგი იქნება, თუ არა და თავი დაანებე. მე თავის დღეში ტყუილს ვერ მათქმევინებენ, მომიგო მღვდელმა, მე მართალს ვიტყვი და სხვა მთავრობის ნება იყოს, იმდენი ძალა დავატანე, რომ ვათქმევინე. ჯერ რუსულათ მითხრა; **Попросите вашей супруги, чтобы она вышла.** უთხარით თქვენს მეუღლეს, რომ კარში გავიდეს და მე მოგახსენებ თქვენ დაწვრილებით. რალაც საქმე მოუგონე ჩემს ცოლს და კარში გავგზავნე. მაშინ დამიწყო: «დასწყევლოს ღმერთმა, აი ოცდაცხრა წლისა ვარ, უცოლოც ვიყავი და ჩემს დღეში ასეთი შემთხვევა არ მქონია, როგორც წუხელის, გუშინ საღამოთი, შემდგომ მწუხრის ლოცვისა, ვილოცე საიდუმლო ლოცვები და დავსწექი, შუაღამისას ავდექი და კიდენ ვილოცე, და რადგანაც ჯერ ცისკრის დრო არ იყო, კიდენ დავსწექი და არ მინდოდა, რომ დამეძინა, მაგრამ ჩემდა საუბედუროთ, ჩამთვლიმა და ჩამძინებოდა, ნეტავი ძილის მაგიერათ სიკვდილი დამწოლოდა, სიზმარში ვნახე: თურმე თქვენი ნათლულის დედა აქ მყვანდა და შაშიკოც ხელში ეჭირა, სადილათ ჩემი მტერმოყვარის ცოლი ბლოღინისაც დაპატიჟებული მყვანდა, მოხდა ისრე, რომ ჩემი ცოლი კარში გავიდა, მედა ბლოღინის ცოლი მარტოკანი დავრჩით და მითხრა, მე ჩემს ქმარს ბევრს ვეხვეწები ხოლმე, რომ შენზედ კარგი თვალით იყოს, ამისთვის რომ მე ძრიელ პატივსაგცემ, მაგრამ ვერა გავაგონე რა, არ ვიცი რათ ეჯავრები, შენისთანა ყმაწვილი კაცის მნახავი არა ვარ და სამსახურზედაც ერთგული და მიზეზი კი არ ვიცი, რათ მემტერება, ეხლა სხვა უშენო რომ იყოს ვინმე, იმის ჯავრს . . . ამოიყრიდა, მაგრამ ღმერთმა გიშველოს, რომ შენ არა ხარ იმისთანა ყოფაქცევისა, თუმცა შენზედ ცუდი ხმები კი ისმის, ... მე წირვა არ მეკუთნოდა, რადგანაც ჭუჭყიანი ტანისამოსი მაცვია და ამ გვარს ტანსაცმელით არ ეკუთვნის მღვდელს, რომ დადგეს წინაშე წმინდის ტრაპეზისა, მაგრამ რა მექნა, რომ ბლოღინი მემტერება და დამაბეზღებდა, ნათლია ჩემო! მითხრა მღვდელმა ჩვენს სასულიერო წოდებაში დიდი უბედურება არის: ესა რომ კურს შევასრულებთ თუ არა, მაშინათვე ვეკურთხებით ხოლმე, გვგონია, რომ დიდი ბედნიერება მივიღეთ მაგრამ ნაცვლად ბედნიერებისა უბედურებაში შევედით. ვინ არ იცის, რომ მღვდელი უნდა სცხოვრებდეს სუფთად, რომ წარსდგეს წინაშე წმინდისა ტრაპეზისა; მაგრამ უნდა მოგახსენო, სამი კვირა არის, საცვალი არ გამომიცვლია, ამაზედ უუბედურესი ცხოვრება ვიღას ექნება. სასწავლებელში რომ ვიყავ, საკმაო ტანსაცმელი მქონდა და ეხლა კი სრულებით მოვაკლდი იმ სანატრელ ცხოვრებას. საწყალმა ჩემმა ქვრივმა სიდედრმა ორიოდე კაპეიკი მომცა ქრთამათ და აქამდის იმ ფულის შემწეობით ვცხოვრებდი ცოტა წესიერათ. ეხლა ისიც შევჭამე და დავრჩი ცარიელი, ასე მეგონა მღვდლათ რომ ვეკურთხები ჯიბე ოქროებით სავსე მექნება მეთქი, მაგრამ ჩემ ჯიბეში თაგვები თამაშობენ, რომ წამლათ მოუნდეს ჩემ ჯიბეში ნალები დენიშკას ვერ იპოვნიან; კუის მსგავსათ ფეხის თითებს გამოუყვიათ თავი ხარაზული წაღებიდან; ახ ჩემო აპოიკის წაღებო და კალოშებო! დაგიდგა თვალი შენ ჩემო თავო, რაც გინახამს ველარა ნახამ, თანაც ისეთი ცრემლები გადმოყარა, რომ თითქმის მეც გული ამომიჯდა, კიდევ განაგრძო ლაპარაკი, ნეტავი შენის დღეგრძელობით ნათლია ჩემო, ისეთი კანონი იყოს, რომ მღუდელობიდან სხვა სამსახურში გადავიდეს, მაგრამ უნდა ივაგლახოს, დაბერდეს და მოკვდეს დანატრებული წუთის სოფლისა. ეხლა დრო ბერებისა არის, ვისაც კი აუდგამს ფეხი ცოტა მაღალ კიბეზედ არც ხორციელ განცხრომას იკლებენ. . . . . . და სულის ცხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებასაც მოუწლიან; აბა, მე რავქნა ერთ ბო-
სელში შამომაგდეს, თუ ცეცხლს დავანთებ,
ბოლი თვალებსა მთხრის, თუ გავაქრობ, სი-
ცივე მკლავს, ფანჯარა ხომ ვინ მისცა, რომ
სინათლე შამოვიდეს, თუ კარებს გავა-
ღებ ზამთარში სინათლისათვის ქარიშხალი
შამოდის, თუ მივხურავ დამიბნელდება და
მტეხიან ქადაგება უნდა დასწეროვო და-
რეველს უქადაგეო, კაცო ეშმაკი ხომ არ
ვარ, რომ ბნელში, სიცივეში და ბოლში
დავსწერო. მომეც წესიერი სახლი, მომეცი
ბინის ძიება ცხოვრებისა, მრევლისათვის ნუ-
ღას მათხოვნინებ, თუ არ დავსწერო, მრევ
ლიც კარგათ არ მოვაქციო და თავიც
ბეჩელ არ შევაყვარო, სულ კისერში მცე-
თავადი დავით ვაქაძე თავის სტა-
ტიაში რომელიც დაბეჭდილია ჩყობ-ის
ის სეკდემბრის და ოკდომბრის თვეებში
ითაშორის ამბობს: ვერ ნახავ ისეთს სო-
ფელს, რომ მღვდელს მრევლი ემდურო-
და მრევლს მღვდელი, რა არის სამდუ-
რი? სამდურავი არის ერთმანეთზედ უკმა-
ყოფილება ანუ ერთმანეთთან ცუდი განწყო-
ბება, აქედან წარმოსდგება მტრობა, აბა
ა იფიქრეთ, მტე რირაში დაზოგავს მტე-
საქმეში თუ სიტყვაში? ვგონებ არც ერთ-
სამრევლონი განავრცელებენ ცუდს ხმას,
ორც წინათ სიზმარში ამბობს ბლალო-
ფოფოდია:» თუმც შენზედ ცუდი ხმა
სმის ამას მოიგონებენ, ვინც ცოტა ანა-
იცის, და მოჰყვება წერას და ღმერთმა
რას დასწერს და მით ამცირებს სასუ-
ო წოდებას, ღმერთმან იცის რომ ის
ა ცუდი ანბავი არის მტერობა, მღვდლე-
ის მოქმედნი არ არიან, მაგრამ რა ქნან
დაჩუმდნენ და სიტყვითა წ. წინასწარ
ელისა და დავითისათა ევედრებოდნენ
ისა მოსრნე მტერნი ჩემნი და წარსწყმი-
ყოველნი მაჭირვებელნი სულისა ჩემისა-
მეთუ მე მონა შენი ვარ.

სტატიის დაწერისათვის მე მრცხვევიან
ჩემი ნათლულის მამისაგან და მემრე სა-
დოებისაგან, ამისათვის რომ მან მე საი-
დუმლოთ მითხრა და მე საქვეყნოთ გავხადე. მე ამას არ დავსწერდი, თუ რომ ბლაღოჩინს პასუხი არ მოეთხოვნა და რადგანაც არ არის საიდუმლო და მართლად დაებიზღებინა და შემდგომ ორის კვირისა პასუხი მოთხოვა და სწორეთ ის შეიტანა პასუხად, რაც მე მიამბო, ამისათვის დავსწერე და არ ვიცი რა სასჯელს მიიღებს მღვდელი ჩემი თქმული სიზმრისა და წირვის მოცდენისათვის და რითაც დაბოლოვდება ეს საქმე, ამასაც შევიტყობ და მოგახსენებთ.

აზნაური ფილიმონ სულიკაძე.

ს. ანწუხიდან.

მცენარეს აუმჯობესებს მყნა.

ყველა მცენარეები ერთნაირ ნამ ყოფს არ გვაძლევენ, ზოგიერთნი იმათაგანი ისხამენ მწარეს და ზოგიერთნი კი ტკბილ ნაყოფებს. მარა კაცს შეუძლია, რაც უნდა გრახა იყოს, ტყის მცენარეც ისე გადააკეთოს, რომ იმანაც ტკბილი ნაყოფი მოისხას. ეს თითქმის ყველა სოფლის კაცმა იცის გამოცდილებით და ძვირათაც იპოვენი ზოგიერთა საქართველოს სოფლებში ისეთ მოსახლე კაცს, ეზოში არ ერგოს ან რგას გაუმჯობესებული მცენარე. ამ საქმეს დიდი სიბრძნე არ უნდა მაინდამაინც, ოღონდ სურვილი იყოს და ღვთის წინაშე დიდი სირცხვილიც არის, რომ სახლკარობის პატრონი კაცი არ ცდილობდეს, თავის ეზოში ანუ ბაღში ცუდი მცენარეების მაგიერ თუ უბრალო ცარიელ ადგილზე, კარგი მცენარეები მოაშენოს, ტკბილი მწიფე ხილები თვითონაც სჭამოს და კიდევაც ახლო ქალაქში გაყიდოს! მყნობას ვეძახით ჩვენ იმას, რომ ერთი რომელიმე მცენარის რტოს მეორეზე, რომელიც ძირიანია, ასე ვსთქვათ, გადავრგათ და რაოდენიმე დროს შემდეგ ორნივე ისინი შეერთდებიან და გახდებიან ერთ მცენარეთ. მარა ეს ახალი მცენარე სულ ერიანად, შეუცვლელად, ამ თვისებების იქნება, როგორიც იყო გადმორგული რტო და არა ძირი. რომელზედაც გადმოვრგევით. როგორც სხვა ბევრი რამე, არც ის უთქვამს ღმერთს კაცისათვის, რომ მცენარეების მყნობა შეიძლებოდა: ეს აზრი კაცმა გამოაჩინა შემთხვევით. ტყეში ნახა მან, რომ ორი სხვა და სხვა ხის რტო ერთად შეერთებულან. ერთად რტოების შეერთება წარმომდგარა, რომ ისინი ახლოს ყოფილან ერთმანერთზე; ქარის დროს, რასაკვირველია, გალესავდა ერთი მეორეს მოაცლიდა კანს იმ ადგილს, სადაც მიუახლოვდებოდა. მერმეთ რომელიმე შემთხვევის გამო, მაგალითებრ, დიდროვანი ხეები გაიზრდებოდა მათ გარეშემო, ან სხვა ტყის მცენარე, და ქარი ველარ დაუწყებდა მათ რყევას. გახეხილი ტოტების გვერდები კი ერთმანერთზე იქნებოდა მიახლოვებულუ ასე, რომ მათი წვენი ერთი მეორეში გაერთვოდა, და რამდენი დროების განმავლობაში ის რტოები ერთად შეხორცდებოდნენ. ამ გვარათ შეიძლება კაცმა შეაერთოს სხვა და სხვა მცენარეების მარტო ორი რტო კი არა, რამდენიც უნდა იმდენი. მარა ის კი უნდა იქონიოს სახეში, რომ იმ ადგილს, სადაც ერთმანერთზეა მიახლოვებული იქ მათ კანი უნდა შემოატოლოს და მაგრად შეჰკრას.

ამ გვარი თვისება მცენარეებისა, რომ არათუ ერთი და ორი რტო მათი შეიძლება შევაერთოთ ერთმანერთთან, არამედ რამდენიც კი გვინდა, ბევრ სარგებლობას გვაძლევს. პირველად ამას, რომ გლახა მცენარეების ნაცვლად მათ ძირზედ კარგი მცენარეები გავამრავლოთ ისეთები, რომლებიც ტკბილ და კარგ შესახედავ ნამყოფებს ისხამდნენ: მეორეთ, ზოგიერთნი კარგი ნამყოფის მომტანი მცენარეები, შეგვიძლია, მარტო მყნობით მოამრავლოთ და მათი თესლით კი ვერა. ამ გვარ მცენარეებს ეკუთვნიან მსხალი, ვაშლი, ლიმონი, ალუბალი, ქლიავი, თხილი. ამათი თესლი რო ჩარგო მიწაში, ისეთი მცენარე ამოვა აქიდგან, რომელიც ნამყოფის თვისებით ძლიერ ცუდი იქნება თავის დედაზე;

მესამეთ, ნამყენი ძლიერ მალე ისხამს ნამყოფს ასე, რომ ნამყენი ვენახი მესამე წელიწადზე ნამყოფს მოიტანს, ხშირათ მსხალიც და ვაშლიც აგრეთვე მყნობით, შეიძლება, კაცმა ძლიერ მაგარი და საიმედო ლობეზე უმჯობესი გააკეთოს და კიდევ სხვა ბევრი რამე.

მაგრამ ამასთან ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ გამოცდილებით არის შენიშნული, ყველა მცენარეები კი არ შეერთდებიან ერთმანერთთან, ზოგიერთი-ზოგიერთთან; მაგალითებრ მსხალი არ დაიმყნობა ვაშლზე და არც ვაშლი მსხალზე, ქლიავი ალუბალზე და სხვანი. ამისთვის საჭიროდ მართალი გითხრა, რომელი მცენარე რა მცენარეზედ დაიმყნობა.

1) ვაშლი ——— ტყის ვაშლზე.
ჩინეთურზე.
თათრულზე.

2) მსხალი ——— მსხალზე.
ბიაზე (კომშზე.)

3) ქლიავი ——— ქლიავზე.
ჭერამზე,
ატამზე.
ნუშზე.
ეკალზე.

4) ეკალი და შავი ქლიავი ერთი მეორეზე.

5) ალუბალი ——— ალუბალზე.

6) ბალი ——— ბალზე.
ალუბალზე.

7) ჭერამი ——— ჭერამზე.
ქლიავზე.
ეკალზე,
ატამზე.
ნუშზე,

8) ატამი და ნუში იმავებზედ, რომლებზედაც ჭერამი.

6) თხილი ერთი მეორეზედ.

10) წაბლიც აგრეთვე.

11) მცხარიც (კვაწუხური) აგრეთვე.

12) კუნკრეხელა გარეულ კუნკრეხელაზე.

13) ნესვი და ხაბურზაკი ერთი მეორეზე და კიტრზე.

გარდა ამისა ისეთი მცენარის რტო არ უნდა ამყნო ტყის მცენარეზე, რომელიც მალე იზრდება, ამიტომ, რომ ტყის ანუ გარეული მცენარე გვიან იზრდება. რტო უნდა ამყნო მოწიფულ და რომელიც დიდ ხანს ძლებს იმისთანა ძირზე.

კარგი მყნობისათვის არიან საჭირო შემდეგნი ხელსაწყონი. კარგი მჭრელი დანა მცენარის გადასაჭრელად. ამ დანას წვერი ცოტათ უკან გადახრილი უნდა ჰქონდეს და ბოლო ტარისა, რომელიც უნდა იყოს ძვლის, სოლსავით. კიდევ პატარა დანა გადაჭრილი ხის გასახეთქავათ. ამათთან ერთი პატარა ჩაქუჩიც უსაცილოთ საჭიროა. დანები ძლიერ მოლესულნი უნდა იყვნენ.

დასაწებავად ან წასაცხებად გადაჭრილ ძირზედ შეიძლება კაცმა იხმაროს კარგად მოზელილი წითელი მიწა და მერმეთ ზევით მიწაზედ დაადოს ხავსი და გადააკრას გრძელი და წვრილი ნაჭუჭი, მარა ზოგიერთნი სწავლულნი მებაღეები გვირჩევენ ამის მაგიერად ვიხმაროთ ფიჭვის ფისი, რომელიც ჯერეთ უნდა გავადნოთ, ჩავასხათ ბოთლში და მასთან ჩაურიოთ სპირტი და ფისი ძლიერ უნდა აურიოთ ერთმანერთში. ფისი ხუთჯერ მეტი უნდა იქნეს სპირტზე. ეს ძლიერ კარგი საშვალებაა მყნობისათვის.

მყნობა ბევრ ნაირათ შაიძლება: კვირტით მყნობა, მოჭრილი ყლორტი (რტოთ) მცენარეებზედ მოუჭრელად რტოებით, თუ ახლო ახლო ის მცენარე, რომელზედაც უნდა ვამყნოთ და ისიც, რომელიც უნდა ვამყნოთ.

კვირტით ყნობა ამ უკანასკნელ დროებაში უფრო გახშირებულია ბაღებში, კვირტით მყნობა ასე უნდა: იმ მცენარეს, რომელიც გინდა მოაშენო, დანით უნდა მოსთალო კვირტი, მარა ისე კი, რომ კვირტის ცოტათი რტოს კანიც უნდა აჰყვეს. კვირტი იმ მხრით უნდა აათალო მცენარეს, რომელიც სამხრეთისკენ არის, ამიტომ რომ იმ მხრით ყოველთვის უფრო კარგი კვირტი და კარგი ნამყოფებია მცენარეზედ. მერმეთ ეს კვირტი საჩქაროთ (ბევრი არ უნდა დააგვიანო) წაღე იმ მცენარესთან, რომლის მაგიერათაც გსურს კარგი მცენარე იყოს. აქ აიღებ წაწვეთილ დანას ხელში, ერთი ან ნახევარ არშინზე მიწიდგან გახეთქავ მოფრთხილებით მცენარის ქერქს და შიდ ჩასვამ კვირტს ასე, რომ კვირტი ნახევარზე მეტი უნდა მორჩეს ქერქს ზევით. მერმე დაათარებ იქ, სადაც გახეთქილია ქერქი, ფისს ანუ თაფლის სანთელს დ შეჰკრავ ტილოთი ან სხვა რითიმე; მაგრამ ნამეტან ძლიერ არ უნდა მოუჭირო მაინდ მაინც, არც სუბუქით. ის მცენარე, რომელ ზედაც დამყნა კვირტი ჯერ ჯერობით არ უნდა გადაჭრა; მარტო რტოებს შემოაჭრ იმ ადგილს თუ კი არის სიახლოვეს, სად კვირტი დამყენი. გადაჭრა მისი შეიძლება ერ თი წლის შემდეგ, როცა კვირტი გაიხარებ და რტოთ გაიზდება. ამ დროს კი საჭირ არის ეს! კვირტი. შეიძლება, ორი სამი დ მყნო ერთ და იმავე მცენარეზე სხვა და სხ ალაგას, ეს იმისთვის, რომ ან ერთი გაიხ რებს და ან მეორე. მეორე წელიწადს მც ნარე გახარებულ კვირტიდგან ცოტათი შორებით უნდა გადაჭრა და მერმეთ შეახ ტილოთი.

კვირტით მყნობა მიტომ არის კარგი, რ ჯაფა არ უნდა ბევრი გარდა ამის მცენა არ უნდა გადაჭრა ისე ღამყენი კვირტი. ძლიერ კარგია, ამიტომ რომ როდესაც მ ნარეს სჭრიან ზევით, ხშირათ მცენარეც ბა და, რასაკვირველია, ნამყენიც. კვირ როდესაც მყნი, ნამყენმა თუ არ გაიხ ძირი მაინც არ ხმება და მეორე წლისათ ივარგებს.

ამასთან ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ კვ ტის დასამყნობათ მცენარე ახალ გაზდა უ იყოს, ასე ვთქვათ დიდ ცერზე უმსხოსი ინც აღარ, თუ არა და ამისათვის ბე მცენარე სრულებითაც არ ვარგა.

მეორე ნაირათ ამყნობენ აი ასე: მოა დებენ ჯერ რაც საჭიროა ამისთვის: კარ მოზელილი მიწა, თუ იშოვება წითელი ფისი, გრძელი და წვრილი ნაჭრები შ რავად და ხაშსს. ამასთან, რასაკვირვე რტოებსაც, როიელიც უნდა ამყნონ. თუ იძლება, რტოები დიდი ხანის მოტეხ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ იქნებიან. თუ ცინიცობაა, ორი და სამი დღის სიშორიდგან არის მოსატანი, მაშინ გზაზე სოველ ჩვარში უნდა გახვიონ და ისე წამოიღონ. დასამყენად ისეთი რტოები უნდა მოსჭრან, რომლებიც მცენარეზედ რომ რჩებოდნენ, სწორეთ მოისხამენ ნამყოფებს. ძლიერ გრძელი არ უნდა იყვნენ-ან სამი კვირტი ჰქონდეთ და ან ოთხი ზედა მეტი არა. გარდა ამისა ისეთი რტოები უნდა მოსჭრან მცენარეზე, რომლებიც სამხრეთისკენ არიან.

როდესაც ამას ყველაფერს გაამზადებ, მაშინ იმ მცენარეს, რომელზედაც უნდა ამყნო ერთი ტკველაზე მიწიდგან, ან კიდევ უფრო ქვევით, გადასჭრი, ან მოხერხავ რგვლათ. მერმეთ გახეთქ დანით და თუ გეშინია ბევრზე არ გასქდეს, გადაჭრილს ქვევით სამი თითის დადება ბაწარს შემოახვევ. ბაწარი ნებას არ მისცემს, რომ გადაჭრილი ძირი ნამეტანი ბევრი გასქდეს. დანას რო ამოიღებ განახეთქში ზევით შუაგულზე სოლს ხ-სას ან რკინისას, რომელიც გექნება, ჩაურჭობ, ამას რო მოაწყდება ასე-და, მერმეთ რტოს კვირტის ახლოს იქავე წაუტაფავ ისე რომ ცალ კედრით ქერქი შერჩეს. მერმეთ ჩაურჭობ განახეთქში ისე, რომ ქერქი ქერქის პირდაპირ დარჩეს ამ გვარათ დამყნა ერთ გადაჭრილ მცენარეზე თუ გინდ ოთხი მხრით, მერმეთ ამოიღებ სოლს და ძირი ჩასმულ რტოტს ძლიერ მოუჭერს. ამას რო გაათავებ გადაჭრილ ძირს გადააწებე ან ფისი და ან მიწა, შეხვიე კარგად მაგრად და საქმე გათავდება, ასე მყნობა ძლიერ კარგია, ძვირათ ათასში ერთი გამტყუნდეს. მეორე წელიწადს, ნამყენმა თუ გაიხარა, მოჭირებულ ტილოს შემოხსნით, მარა ნამყენი რო არ მოტეხოს ქარმა ფრთხილათ სარს დაუსობ ძირში და მაზედ ააკრავ. ვთქვათ, ერთ ძირზე ოთხი რტო დამყენი, და ყველამ გაიხარა, მაშინ რამდენიც გინდა იმდენს გაუშვებ: თუ გინდა ბუნჩქსავით იყოს, ყველას გაუშვებ, თუ გინდა ერთი ტანი ხე იყოს, ერთს გაუშვებ.

მყნობა და სხვა ნაირათ შეიძლება კიდევაც მარა ამ შემთხვევაში ის მცენარე, რომელიც ამყნობ და ისიც, რომელზედაც ამყნობ ორნივე ძლიერ ახლოს უნდა იყვნენ ერთმანერთთან ასე, რომ მათი შტოები ერთი მეორეს გადაეწნას. ეს უკანასკნელი მყნობაც ადვილია: გადმოხრი ორნივე მცენარიდგან, გადააწნავ ერთმანერთს და იმ ადგილს, სადაც გადაწნულია, შიგნიდგან ორნივეს ქერქს შემოაცლი, ამიტომ რომ მითი წვენი ერთი მეორეს გაუჯდეს მერმეთ მოზელილ მიწას დაადებ, შეჰკრავ და სხვა არაფერი უნდა ერთ სელიწადს ისინი კარგად შეხორცდებიან. ამ გვარ მყნობით, შეიძლება კაცმა გააკეთოს ათასი დარგული მცენარეებისაგან. შეუძლია, ოთახს კარებიც გაუკეთოს როგორც უნდა, და ფანჯრებიც. იქ საქმე და მოხერხება რტოების გადაწვენა სხვა არაფერი, ამ გვარი მყნობით ღობეს, ჯებირს, ძალიან მაგარს გააკეთებს კაცი ღობისთვის ყველა მცენარეს სჯობია ტყის ვაშლი და, თუ სადმე იშოვება ახლო, ის მცენარე, იმუსეთში რო ს ი რ ვ ა შ ლ ს ეძახიან. ამისთანა ღობის გაკეთება მაინცა მაინც ძნელი არაა და ბევრი სარგებლობა კი შეუძლია მოუტანოს კაცს. საწყალი გლეხები უცოდინარობისგამო ბევრს შრომობენ, ღობვენ და ორ ან სამ წელიწადს იქით მათი ნაღობი სრულებითაც აღარ ვარგობს, წნელის და სარების მაგიერ დარგულ დამყნილ მცენარეებს რომ ეთარობდნე, რასაკვირველია, ბევრი ჯაფისა და ზარალისაგან იხსნიდენ თავს ღირსია თვალებში გამოიხედნონ, ისარგებლონ დარიგებით — სწავლით და მიხვდნენ, დარგვლა მყნილი მცენარეების ღობე ბევრ სარგებლობას მოუტანს მათ. მართალია, პირველად ამისთანა ღობეს უნდა ჯაფა, მარა ეს ჯაფა სრულებითაც არაფერია მასთან შედარებით, რომ სარგებელი ძლიერ ბევრი იქნება იმისგან.

მყნობა უნდა გაზაფხულზე და შემოდეგზე ამიტომ რომ ამ დროს წყალი ბლომათ არის ჰამდგარი მცენარეში. შეიძლება მყნობა ზაფხულშიც, განსაკუთრებით ივლისში (კვირკობისთვეში). მე ბევრჯერ მიცდია, და ამ თვეში ნამყენს ყველას გაუხარია. კარგი მებაღებიდგანაც ასე გამიგონია.

სამეურნეო ნაწილი

ფუტკრების მოვლა ზამთარში.

საქართველოში, განსაკუთრებით მთიან ადგილებში, ისეთი ქვეყნებია, საცა ცივი ზამთრები იცის. ამისთვის საჭიროა აქ ჩვენ ვილაპარაკოთ ფუტკრების სადგურებზე, რადგან საფუტრეს კარგ მოწყობილობაზე არის დამოკიდებული ფუტკრების კეთილდღეობა და იმათი კარგათ ყოფნა ზამთარში: და არამც თუ ზამთარში გაზაფხულზედაც საფუტკრეს ისეთი მოწყობილობა უნდა ჰქონდეს რომ ზამთრით ფუტკრებს არ რა იმათში არა გაუჭირდეს რა, თითონ ახალ მოზარდ ფუტკრის ჭიებსა თაფლიცა და თაფლის სანთელიც არ შამოეხარჯოსთ. თუ თაფლს სიცივისა და ნამის გამო ობი მოეკიდა, ან თვითონ თაფლი გადაშაქრდა, მიუცილებლათ ფუტკრები დაიხოცებიან, ამიტომ რომ ობი ფუტკრის ახალ მოზარდ თაობას ღუპავს, და თუ თაფლი ან დამჟავდა, ან შაქრათ-გადაიქცა, მაშინ დიდებსაც უხდება თავისი საზდო და ფუტკარი სულ ერთიანათ იღუპება. ამ უბედურებების გადასარჩენათ უნდა ჰქონდესთ საფუტკრეები მშრალათ და სკებში თორმეტ გრადუსზე ნაკლები სითბო მაინც აღარ უნდა იყოს. გარეთ რომ ათი გრადუსი ყინვა იყოს, საფუტკრეებში თუ თბილათ არიან, მაგალითად იმათ ექვსი გრადუსი სითბო აქვთ, მაშინ ფუტკრებს აღარა უჭირსთ რა, რადგან იმათი სუნთქვა რამდენათაც საჭიროა, იმდენათ გაათბობს სკებსა. თუ საფუტკრე ალაგი განიერია და იქ ცოტა სკებია, ან თუ პატარა საფუტკრე ძირიდგან თავამდის გამოტენილია სკებითა და იქ ძალიან ცხელა. ეს ორივე შემთხვევა ფუტკრებს ძალიან ავნებს. ამისთვის არც ძალიან უნდა დაიცალიერო საფუტკრე სკებისაგან და არც ძალიან გამოტენო. ამ შემთხვევაში გამოცდილებისაგან ნაჩვენები ზომა უნდა მიიღო. საფუტკრე ალაგს თუ ძირიდგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავამდის სამ არშინ ნახევარი სიმაღლე აქვს და სკები დგანან ფეხებზე მაშინ ოთახის სიგძეზე ორივე კედლების გაყოლება ძირიდგან ჭერამდის შეიძლება იყოს სკვნი ერთმანეთზე შედგმული. თუ სკები ძევან, მაშინ ორივე კედლის გაყოლება ძირიდგან მხოლოდ ორ არშინზე და სამ მეოთხედზე უნდა იყოს შედგმული. ამისთანა გაწყობილება საფუტკრეში იმითია კარგი, რომ იქ იქნება იმდენი სითბო, რამდენიც საჭიროა და არც ისე ეცხელება, რომ სიცივეზე უფრო ზიანი იმან მისცეს ფუტკრებს. საფუტკრე უნდა იყოს ალაგის მიხედვით გამართული, ამ სახით იმისთანა დაბლობ ალაგებში, სადაც მიწასქვეშ წყალი ახლოა, საფუტკრე უნდა მიწას ზემოთ გაკეთდეს და მაღლობზე, საცა მიწაც კარგათ მშრალია და სალიც, იქ შეიძლება საფუტკრე მიწის გომებში, ან ორმოებშიაც გაკეთდეს. ეს ორივე გვარი საფუტკრე ძალიან კარგია, თუ მოხერხებულათ, არიან გაკეთებულნი.

მიწის ზემოთ გაკეთებული საფუტკრე უნდა იყოს ფიცრული სახლი გარშემოლობილი. ლობესა და სახლის კედელ შუა ერთი მტკაველი უნდა იყოს დარჩენილი. საითაც შესასვლელია, იქ ლობე კარგა შორს უნდა იყოს გაწეული და თითქმის ერთი საჟენი ეზო ჰქონდეს. ლობე ან თიხით უნდა იყოს გაგლესილი და ან ლელით, ანუ ლელ წამი სქლათ უნდა ჰქონდეს ლობეს შემოთესილი. ფიცრული სახლი ხავსით უნდა იყოს დაჭვეტილი, ლობესა და სახლის კედლებს შუა რაც ალაგებია დარჩენილი მიწის ბელტებით უნდა ამოივსოს, მაგრამ ლობემ რომ განზე არ გადაიხაროს, ხის ბოძები უნდა შეუყენონ. ის კედელი, რომელიც სახლის ეზოსკენ აქვს მიქცეული, თიხით უნდა გაიგლისოს; საფუტკრეში შესავალი კარიც ნაბდით უნდა გაიკრას, რომ დახურვაზე გარედგან სიცივე არ შედიოდეს. ზევიდგან საფუტკრეს ჯერ ჭერს გაუკეთებენ ცოცხით და მერე ზევიდგან დააყრიან მიწას სქლათ და შემდეგ წალმით გადახურევენ როგორც, გლეხის სახლებს. ამასგარდა საფუტკრეს უკეთებენ ორფა კარებს, რომ სიცივე. სინათლე უფრო არ შევიდეს შიგ. ამასგარდა გაზაფხულზე როცა ბევრი წვიმები მიდის. რომ კედლებსა და ლობეს შუა წყალი არ ჩადგეს. სახურავიდგან წყლის გადასასვლელებს უკეთებენ. თუ ძალიან დათბა ზამთარში საფუტკრეს კარები უნდა გააღო. ეს ფუტკრებს ძალიან მოუხდებათ. მაღლობზე მიწაში საფუტკრეების კეთება უფრო ადვილიცა და სასარგებლოც არის, მაგრამ სხვაც უნდა მიიღოს კაცმა მხედველობაში: ნიადაგისა და ნიადაგ ქვემოთ მიწის თვისება. ამისგამო მიწის საფუტკრეებს ორ გვარათ აკეთებენ: საცა ნიადაგის ძირი, ან ქვედა პირი ნიადაგისა თიხა ნარევქვიშიანია, იქ ორმოს იატაკზე ხის ნამორების პოლს აკეთებენ. იქ, საცა ორმოს ძირი წმინდა აყალო მიწის, ან თიხისა აქვს, იმას მხოლოდ კარგათ დატკეპნიან და ხის პოლი აღარ დაჭირდება. ის კიარა ჭერსაც აყალო მიწისას გაუკეთებენ. საფუტკრეს გაკეთება რომ ბეგზე მოუხდეს მეოჯახეს და თუ ეს ბეგი წმინდა აყალო მიწისგან არის შემდგარი მაშ. ამ ბეგს ჩამოთლიან სამ არშინ სიმაღლეზე და გამოქვაბენ კაცის სიმაღლეზე სიგძით სამ არშინზე და სიგანით არშინ ნახევარზე. მერე გამოქვაბულის კედლებს ძალიან კარგათ დატკეპნიან, მიწას გამოიტანენ გარეთ და შესავლის პირდაპირ მეორე კედელში შესჭრიან თაღიან აკოშკას იატაკიდგან ერთ არშინ სიმაღლეზე. ეს აკოშკა სიმაღლით ჭერამდის უნდა იყოს ატანილი და სიღრმე უნდა ჰქონდეს არშინი და ერთი მეოთხედი. ეს აკოშკა, ანუ უკეთ ვთქვათ კარი უნდა იყოს შესავალი თვითონ საფუთკრეში, რომელიც სიგძით კარგა დიდი უნდა გამოთხაროთ და სიგანით კი ერთი საჟენი. ზევით ჭერი სახურავ ნაირათ უნდა გაუკეთო, თორემ თაღიანი ჭერი ინგრევა ხოლმე. როცა საფუტკრეს ამ ნაირათ გამოთხრიან, მერე შიგ შეუყრიან თივას ნაფოტებს. ხეებს და მოუკიდებენ ცეცხლს, რომ ეს საფუტკრე ქვაბი გამოიწვას. მიწა ნახევარ არშინ სისქეზე მაინც უნდა გაშრეს. მერე საფუტკრეს დერეფნის წინ გააკეთებენ ბოძებზე, კარავს შეხურევენ წალმით და დაატანებენ ერთს კარს. ამის მეტი საფუტკრეს აღარა უნდა რა ამისთანა გამოშწვარ საფუტკრეში უფრო ეთბილება, ვინამ ემცივნება. თუ რამდენიც რიგია, იმდენი სკა დასტიე შიგ, კარგა ეთბილება და თუ ამას მოაკლდა შეიძლება ზამთრის ყინვებისაგან ძალიან გაცივდეს საფუტკრე, კედლებს ობი მოეკიდოს და შემდეგ ნესტი თვითონ სკებშიაც შევიდეს. ამისთანა საფუტკრეებში, რამდენიც გამოცდილებით საჭიროა, თუ იმდენი სკა არის შიგ შეტანილი მთელს ზამთარს კარგათ იქნები ან ფუტკრები, რასაკვირველია ყოველ თბილს და მზიან დღეში უნდა გაუღო საფუტკრეებს კარები, რომ შიგ ჰაერი გასწმინდოს და სიცხე გამონელდეს.

სამეურნეო გამოცდილებანი

გამოცდილებითი შენიშვნები ბაღის კეთებაზე

ხ ე ხ ი ლ ე ბ ი ს მ ა ლ ე გ ა შ ე ნ ე ბ ა. ორ ან სამ კვირტის ზემოთ უნდა შემოსერო რომელსამე ხეხილის კანი, ისე კი რომ თვითონ კანს შიგნით ცილს დანა არ მიაკარო, შემდეგ იმის ზემოთ ამნაირათვე უნდა შემოსერო და შემოჭრილებს შუა ტყავი აართვა. მერე ტყავ-გახდილი ალაგი თოხით უნდა შემოგლისო და ზევიდგან ტილო შემოაკრა. რამდენსამე ხანს შემდეგ ამ შემოჭრილზე კუნძი გამოვა გარშემო და როცა ის გამაგრდება, მერე ამ კუნძის ქვემოთ ხე უნდა გადამორო და ფრთხილათ გადარგა რომელსამე ალაგას კარგს ნაყოფიერს ნიადაგზე. მაშინ ამ კუნძებიდგან ფესვები გამოვა და ერთი ხეხილისგან ორი გაკეთდება, რადგან ძველ ტანს რომ კვირტები თუ კუკურები დარჩა იქიდგანაც ტოტები გაიზდება და ხე იზდება. ხეხილები ფესვებითაც ადვილათ გამრავლდება. მაგალითად ვსთქვათ რომელიმე ხეხილის თესლისაგან ახალ მოზარდი თაობა წამოისწია; მაშინ ამ პაწაწა ხილებს მოსთხრიან მსოჭრიან მომეტებულ ნაწილს ფესვებისას და ამათ დასჭრიან თითო გოჯის სიგ-

ძეთ ისე, რომ ყოველ ფესვის ნაჭერს რამდენიმე ფოჩი ჰქონდეს. მერე რიგზე უნდა მორწყო და ხანდახან გამარგლო. რამდენსამე ხანს შემდეგ ტოტებს ამოიყრის და მერე შეიძლება, ცალ-ცალკე გადარგო. პაწაწა ფესვები რომ დიდ ხეს მოსჭრა და დაჭრილი ჩაფლა მიწაში ზემოხსენებულ ნაირათ, ის კი სჯობია. რასაკვირველია, ვიდრე პაწაწა თესლებისაგან ამოსულ ახალ ნაყარს მოსჭრა ფესვები და იმისგან ამრავლო; მაგრამ დიდი ხიდგან მოჭრილი განზე გასული ფესვები ბატის კალმის უმსხოსები აღარ უნდა იყოს, თორემ არ ივარგებს.

ფესვების დაფლვა გაზაფხულზე სჯობს. ორმოები იმათ დასაფლავათ ადრევე უნდა შეამზადოს კაცმა ზაფხულში და შემოდგომაზე. ორმოებში მიწა ძალიან კარგათ უნდა შეამზადო და ისე დაავდო, მერე გაზაფხულზე თითო ორმოში ორი ან სამი ფესვის ნამორი უნდა ჩარგო და რამდენიმე დღე ზედისზედ უნდა მორწყო და მარგლო. ამ გვარათ თითო ფესვის ნამორი ბევრს ტოტებს იყრის და შემდეგ რომელიც ემჯობინება, ის ნამყენი შეიძლება იმავე ორმოში დაარჩინოს კაცმა და დანარჩენები სხვა ალაგას გადამყნას: განსაკუთრებით ისინი უნდა გადარგო სხვაგან, რომელნიც დიდს ხეების ფესვებიდგან მოჭრილან. რომელნიც თესლით ამოსული ახალ მოზარდის ფესვებს მოსჭრიან, ისინი ჯერ იქვე ორმოში უნდა დამყნა და მერე შეიძლება სხვა ალაგებზე გადამყნა. ეს ხეები თითქმის ყველანი ამოვლენ და ორი წლის განმავლობაში ისე გაიზრდებიან, რომ ზოგიერთები კიდეც მოისხმენ. ამ სახით შეიძლება გამრავლდეს ვაშლის, სხლის, ტყემლის, ქლიავის და ალუბალის ხეები, მხოლოდ მოჭრილი ფესვები უნდა ჩამყნა მიწაში, რომ ფოჩები არ გაუხმეს.

ხეების გამრავლება ჩინეთურათ: ჩინელებმა ბევრნაირათ იციან ხეხილების და ხეების გამრავლება, მაგრამ იმათში ყველაზე შესანიშნავია ის, რომელსაც ამ ქვემოთ მოგითხრობთ. ისინი ხეში ამოირჩევენ ერთს საუკეთესო ტოტს, მაგრამ იმისთანას კი, რომ იმის მოჭრით ხე არ დაშავდეს. მერე იმ ტოტს დიდ ტანთან მახლობლათ შემოახევენ პურის ქერქს იმდენზე, რომ ეს შემოხვეული ალაგი ექვსი ხის ტოტის სისხო იყოს. მერე ამ შემოხვეულს ალაგს სქლათ შესვრიან ნეხვითა. შემდეგ იმ ტოტის პირდაპირ ზევით მეორე ტოტზე ჩამოკიდებენ ქოთანს რომელსაც ძირი იმდენათ პატარათ აქვს გახვრეტილი. რომ იქიდგან წყალი წვეთებათ გამოდიოდეს. შემდეგ ჩაასხმენ ქოთანში წყალს და იქიდგან წვეთებათ ეცემა თვითო ჭქლით და ნეხვით შეხვეულს ტოტსა. მერე შემოსერვენ ტოტის ქვედა ნაწილს იქ, სადაც სახვევი თავდება. სამი კვირის შემდეგ ამ შემოსერულს კიდევ უფრო ღრმათ ჩასჭრიან; სამი კვირის შემდეგ კიდევ თუ ტოტმა ახალი ფესვები გამოიღო შემოხვეულ ალაგზე; მაშინვე სულ მისჭრიან ტოტს იმ ალაგას. სადაც წინათ იყო შემოსერილი და მერე გადარგვენ კარგს ნოყიერს მიწაში. ქოთანში წყალი არ უნდა ამოილიოს კაცმა, სანამ ტოტს სულ არ მოსჭრიან.

ვარდის მალე გაშენება:— გაზაფხულზე, როცა წვეთი მიწიდგან ფესვში ავა მაშინ უნდა ამოთხარა თითქმის ორი მტკაველი სიღრმე ორმო იმ ალაგას, საცა მზე ნიადაგ ადგია. ჩაყარო შიგ ცხენის ნეხვი და მერე მეოთხედი არშინის სისქე შავი მიწა უნდა დააყარო ზედ. მერე უნდა მოთხარო მთელი ვარდის ბუჩქი, დასჭრა ტოტები და ფესვები თითო თითის სიგძეთ და დაჰყარო ორმოს მიწაზე მეოთხედ გოჯის სიშორეზე ერთი მეორედგან და ზევიდგან მიწა გადააყარო ორი გოჯის სისქეზე. ყოველი ნაჭერი ვარდის ბუჩქისა გაიხარებს, ზევით ღერს ამოუშვებს ქვევით ფესვსა, ასე რომ რამდენი ნერგიც ჩაგვიფლავს მიწაში, იმდენი ვარდის ბუჩქი გაკეთდება. მეორე წელიწადს ეს პაწაწა ბუჩქები ცალკ-ცალკე უნდა გადარგა ბაღში. მხოლოდ როცა დაფლავ მიწაში ამ ნამორებსა, მერე ყოველ დღე უხვათ უნდა მორწყო დილითა და საღამოთი.

ქიზიყიდგან თებერვლის 15-ს.

«დროებიდგან»

ყველამ გაიგო რომ ჩვენი ქიზიყი წელს ძრიელ დაეცა, ძრიელ დამშივდა ჯერ ზამთარიც არ გათავებულა, ჯერ კიდევ ბევრი ხანი უძევს წინ ახალ მოსავლამდის ქიზიყელებსა და ჩვენი მხარე ისეთს მდგომარეობაშია ჩავარდნილი, რომ, როგორც მკითხველებმა იციან, თითქმის ნახევარი ქიზიყი სულ სხვა და სხვა მხარეს და ნამეტნავათ გაღმა მხარში, ზაქათალის მაზრაში, საინგილოეთში წავიდა. ქიზიყში კიდევ მრავალი ხალხი დარჩა უსაჭმელო და უსასმელო, რადგან არც პური და არც ღვინო წელს ქიზიყს თითქმის სულ არ ჰქონდა. ეს ქიზიყელები იკვებებოდნენ აქამდის სხვა და სხვა მხლებით: ბოლოკათი, ხაჭიჭორათი, ყაყაჩო მხლითა, ბალბით და სხვითა და სხვითა. მაგრამ აი ეხლა ესეც შემოელიათ ჩვენ ქიზიყელებს, მათ არა თუ სულ მოკრიფეს ეს მხლები, არამედ სულ ძირიანა მოაგდეს ასე, რომ აქაური ვენახები და მინდვრები რომ ნახოთ, დახნულები გეგონებათ. მაგრამ ბუნება ცოტა არ იყოს კიდევ ზრუნავს ამათთვის: მან მოუვლინა ღანძილი და აი ჩვენი ქიზიყილები გაეშურნენ ჭიაურის ტყეშია, სადაც ეს მცენარე იზდება. მიდიან კაცები, დედაკაცები, პატარა ბიჭები და ქალები და მიჰყავთ თან ძუძუთა ყრმებიცა და დაიარებიან იმ ტყეში სამ-სამი დედა-კაცი უვაქკაცოთ თავის შვილებით, ღანძილის საძებნელათა და სათხრელათა; შემდეგ იქვე ხარშვენ და ამნაირათ იკვებებიან. ღამითაც იქვე ბინავდებიან, და შეექცევიან უმარილოსა, როგორათაც კარგს საგულის-გულოთ გაკეთებულს ქადასა! მათ არ აშინებთ არც ნადირი და არც ავაზაკი; მათ ფიქრშიაც არ მოდით, რომ შეიძლება გაფუჭდნენ რომლისამე საშიშარის ტყის ნადირისაგან, აგონდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათ მხოლოთ თავისი ცარიელი კუბი და ფიქრობენ, რომ მშიერნი არ დაიხოცნენ. შიმშილი მათ ძმათ არ მიაჩნიათ. ვინ იცის იქნება, რომ ნადირისაგან შეემასაც არ თაკილობდნენ, ოღონდ კი მოაშორონ თავი და არ უყურონ თავის წვრილ შვილების წვალებასა და ღნაეილსა.. მაშ რა ქნან, რით იცხოვრონ? ძმობის სიყვარული აღარ არის, მეზობლობა და ნაცნობობა ხომ ვინღა ქნა? ერთ აქაურ კაცს ფული ვერსად ეშოვნა სასესხებელი; ეს კაცი კარგი ოჯახის შვილია და ბევრის სახლობის პატრონი და, რასაკვირველია, თხოვნა და ლეკებში გაქცეეა მან ითაკილა. პური კი ამასაც სხვებსავით უჭირს, რა ქნას, რით გაიმართოს? უნდა მიმართოს ისევ მეზობელს. აღმოჩნდა ისეთი კეთილი მეზობელი, რომელმანც არ უყო უარი და მისცა ხელი წყალში გასაყვანათ: ოც კოდს პურში, ათის თვის ვადით, მიაწერა ოცი თუმანი ფული და ესრეთ გამოვიდა, რომ არც თითონ დარჩა ხელ-გაუთბობელი და არც მთხოვნელი პირ-ცარიელი!... ამგვარ ნიმუშებს ძმათ-მოყვარეობისას და გულ კეთილობისას ჩვენში მუდამ დღე ნახავთ.

ნადეჟდა ნაცვალოვის ასული.

ბოდბის-სკვი.

ზუგდიდი, თებერვლის 28-ს.

გწერთ კიდე ერთს იმის მზგავს ამბავს, როგორც ამას წინათ მოგწერეთ: ამ თვის ოცს, ღამით, ავაზაკები მიუხტნენ თავადს დავით ჩიჩუას, თავის სახლში, სოფ. ზანას, და ის და მისი ცოლი ორივე ხანჯლით დაჩეხეს.

ეს საქმე მით უფრო შესანიშნავი და საზარელია, რომ ის ჰბრალდება გარდაცვალებულის უფროს შვილს, დიტო ჩიჩუას, რომელიც აქნამდის გაქცეული იყო და გუშინ დაიჭირეს. გარდაცვალებულ კნეინას, რომელიც გუშინდლამდე ცოცხალი იყო და ცოტათი ლაპარაკი შეეძლო, უცვნია მკვლელი გარდა ამისა ამბობენ, რომ ბევრი ფაქტებიაო გამოჩენილი, რომლების ძალით ეს საშინელი მოქმედება ზემოხსენებულ პირს უმტკიცდებაო. ამბობენ, ამასთან ყოფილა კიდევ ექვსი დაიარაღებული კაცი; ვინაობა ამათი ჯერ არავინ იცის, თუმცა ეკვით კი არის ორი კაცი დაჭერილი.

სხვა ახალი ამბავი ზუგდიდში კიდევ ეს არის: აქაურ ორ-კლასიანის შკოლის მასწავლებელმა გამოითხოვა ნება ქალების სასწავლებელის გახსნისა. ახლავე დააწყებინა ერთი ოთახის მოპატება ორ-კლასიან სასწავლებელთან. სახლი ამ დღეებში მზათ იქნება, მაგრამ ჯერ არც მოსწავლეები სჩანან და არც მათი სასწავლებელი და ფულის ხსენება ხომ სულ არ არის. ამ შემთხვევაში ეგონენ ზუგდიდ და ოზურგეთი ერთნაირს მდგომარეობაში არიან: «დროებამ» გეცნობა, რომ ოზურგეთშიაც აპირობენ საქალებო შკოლის გახსნასაო, მაგრამ, სახლის (?!) უქონლობისა გამო, თურმე გაჩერებულია ეს საქმე. სამწუხაროთ, ზუგდიდი შორს არის ოზურგეთზედ, თორემ სახლს ჩვენ ვათხოვებდით და ამგვარათ ამ ორ პატიოსან ქალაქში ერთი საქალებო შკოლა მაინც გაიხსნებოდა.....

ალ. ჩიკოიძე.

განცხადებები

ი ს ყ ი დ ბ ა ქალაქში, სოლოლაკში, ხუთასი კვადრატული საჟენი მიწა. დაწვრილებითი ამბავი მსურველთ შეუძლიანთ შეიტყონ კ. კრიჟანოვსკის სახლში. კონსულის ქუჩაზე თფილისში.

მაქვს პატივი განუცხადო ქუთაისის პუბლიკას, რომ ამ დღეებში მიეიღე შემდგომნი წიგნები: სამოსამართლო წესდებანი (Судебные уставы), სახელმძღვანელოები ყველა საგნებისა, ქართული წიგნები, როგორც საერო, აგრეთვე საეკლესიო და ქართული და რუსული კალენდარები 1873 წლისა. წიგნები გაისყიდებიან ქუთაისის ღუბერნიის სტამბაში, ტფილისის ქუჩაზე ეზიკოვის სახლებიდ.

ხიმონ ჩოჩხაძე.

ამ 1873 წ. ხ ე ლ ი ს-მ ო წ ე რ ა «დროებაზე»

მიიღება თ ფ ი ლ ი ს ი ში—«დროების» რედაქციის კანტორაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლებში.

ქ უ თ ა ი ს ი ში—გერასიმე კალანდარიშვილთან და ს. მესხთან.

უ ფ ა ს ი «დ რ ო ე ბ ი ს» ს ა ბ ო ნ ტ ე ბ ი ს ა ნ.

ხ ე ლ-მ ო ხ ს ნ ი ლ ი ფ ა ს ი

	გ ა ბ ა ს ვ ნ ი ა თ.		გ ა ბ ა ს ვ ნ ი ა	
	მან.	კაპ.	მან.	კაპ.
ერთის წლისა —	6	»	5	»
ნახევარის წლისა —	3	»	2	50
სამის თვისა —	1	75	1	50
ერთის თვისა —	»	60	»	50

ვთხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მოწერის ზევრი ფული გაზეთის დამარებისა-თანავე გამოგზავნონ.

ახალ ხელის-მომწერლებს უმორჩილესად ვთხოვთ, თავიანთი ადრესი გარკვეეით დაწერილი გამოგვიგზავნონ და აგრეთვე შეგვატყობინონ ყოველთვის, როდესაც საცხოვრებელ ადგილს გამოიცვლიან.

1873 წლის 1 იანვრიდამ სომხური გაზეთი «მ შ ა კ» წელიწადში შ ვ ი დ ი მანეთად მაგიერათ ხ უ თ მანეთად ეღირება. ნახევარ წლის ფასი ს ა მ ი მანეთია.

ხ ე ლ ი ს-მ ო წ ე რ ა მიიღება გაზეთ «მშაკის» რედაქციაში, რომელიც ყოველ-დღ გახსნილია დილის 9—11-მდი და საღამ 5—7-მდი.

გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა ღ ბარონ: *Въ Тифлисъ. Въ Редакцію газ «МШАКЪ»*

зволено цензурою, Тифлисъ, 20 Марта 1873 г. გ. წერეთლის და ამხ. (დუბლირის) სტამბა. რედ. და გამომცემელი გ. წერეთელ